

დადგენილება №58
2021 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

„განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს „განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესი“ თანდართული სახით.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფრუიძე

მაია მელიქიძე

გიორგი ფანგანი

დავით ნარმანია

განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის წესი მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ამ წესის მიზანია ელექტროენერჯის მიმწოდებლის მიერ საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებული ელექტროენერჯის ნაზავში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წილის ან რაოდენობის საბოლოო მომხმარებლისთვის დადასტურების, აგრეთვე განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატით სარგებლობის უზრუნველყოფა ობიექტური, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კრიტერიუმების შესაბამისად.
2. ეს წესი განსაზღვრავს წარმოშობის სერტიფიკატის შინაარსს, მისი გაცემის, გადაცემისა და გაუქმების პროცედურას, რეესტრის წარმოების წესს, აწესრიგებს წარმოშობის სერტიფიკატთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. განმარტებები

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) განაცხადი – ანგარიშის მფლობელის მიერ წარმოშობის სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი ორგანოსთვის რეესტრის მეშვეობით ელექტრონულად გაგზავნილი განაცხადი წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის ან გაუქმების შესახებ;
 - ბ) კომისია – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
 - გ) წარმოშობის სერტიფიკატი – ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტროენერჯის წილი/გარკვეული რაოდენობა განახლებადი წყაროებიდან არის წარმოებული;
 - დ) წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა – განაცხადის შესაბამისად წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა,



რომელიც ეფუძნება წარმოების კონკრეტული საშუალების მიერ წარმოებული ელექტროენერჯის აღრიცხვის მონაცემებს გამოხატულს მეგავატსაათებში (მგვტ.სთ);

ე) ანგარიში – რეესტრში ანგარიშის მფლობელთან დაკავშირებით არსებული მონაცემებისა (მათ შორის, წარმოების საშუალების შესახებ ამ წესით განსაზღვრული მონაცემები და ანგარიშის მფლობელზე გაცემული წარმოშობის სერტიფიკატის შესახებ ინფორმაცია) და ინფორმაციის ერთობლიობა;

ვ) ანგარიშის მფლობელი – რეესტრში რეგისტრირებული განახლებადი ენერჯის წყაროდან ელექტროენერჯის მწარმოებელი;

ზ) ქსელში მიწოდებული ენერჯია – მთლიან წარმოებას გამოკლებული წარმოების საშუალების საკუთარი მოხმარება;

თ) მთლიანი წარმოება – კონკრეტული წარმოების საშუალების მიერ წარმოებული ჯამური ელექტროენერჯია, რომელიც აღრიცხება საგენერატორო სალტეზე;

ი) საკუთარი მოხმარება – წარმოების საშუალებაზე ელექტროენერჯის მოხმარება, რომელიც დაკავშირებულია წარმოების საშუალებაზე ელექტროენერჯის წარმოების უწყვეტი პროცესის შენარჩუნებასთან და დამხმარე მოწყობილობების მიერ ელექტროენერჯის მოხმარებასთან;

კ) რეესტრი – წარმოშობის სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოშობის სერტიფიკატის გაცემისა და გადაცემის მიზნით შექმნილი და ადმინისტრირებული ელექტრონული სისტემა, რომელიც აერთიანებს ამ წესით გათვალისწინებულ მონაცემებს;

ლ) ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გადაცემა – ანგარიშის მფლობელის მიერ ანგარიშის სხვა მფლობელისათვის (მათ შორის ქვეყნის გარეთ) სერტიფიკატის გადაცემა ამ წესის შესაბამისად;

მ) ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური – ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ელექტროენერჯიას აწარმოებს წყლისგან, რომლის ამოტუმბვაც განხორციელდა წყალსაცავიდან, აღმავალი გზით;

ნ) ელექტროენერჯის წარმოების საშუალება – ელექტროენერჯის მწარმოებლის მფლობელობაში არსებული ელექტროსადგური ან ელექტროენერჯის გენერატორი ან მაღალეფექტური კოგენერაციული თბოელექტროსადგური, რომელიც ამ წესის მიზნებისთვის მიჩნეულია განახლებადი ენერჯის წყაროდ და რეგისტრირებულია რეესტრში;

ო) ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი ორგანო (შემდგომში – უფლებამოსილი ორგანო) – ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორი.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

მუხლი 3. წარმოშობის სერტიფიკატების რეესტრი

1. რეესტრი იქმნება უფლებამოსილი ორგანოს მიერ, განახლებადი წყაროებიდან წარმოებული ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემისა და მისი შემდგომი გადაცემის მიზნით. უფლებამოსილი ორგანო რეესტრს აწარმოებს წარმოშობის სერტიფიკატების რეესტრით სარგებლობის წესის დაცვით.

2. რეესტრით სარგებლობის პროცედურა და მოთხოვნები განისაზღვრება რეესტრით სარგებლობის წესში, რომელსაც შეიმუშავებს უფლებამოსილი ორგანო და დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიას.

3. ოპერატორი ანგარიშვალდებულია კომისიის წინაშე რეესტრის გამართულად წარმოებასა და მასში შეტანილი მონაცემების სიზუსტეზე.

მუხლი 4. ელექტროენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული



ელექტროენერჯის საერთო წილის გამოთვლა და მომხმარებლისთვის გამყვანება

1. ელექტროენერჯის მიმწოდებელი განახლებადი ენერჯის წყაროებიდან წარმოებული და მიწოდებული ელექტროენერჯის წილის ან რაოდენობის შესახებ ინფორმაციას საბოლოო მომხმარებელს აწვდის ქვითრის მეშვეობით, „განახლებადი წყაროებიდან ელექტროენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომისიის მიერ დამტკიცებული „ელექტროენერჯის საცალო ბაზრის წესების“ შესაბამისად.
2. განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერჯის ის რაოდენობა, რომელიც ელექტროენერჯის მიმწოდებლის მიერ მესამე მხარისთვის გადაცემულ წარმოშობის სერტიფიკატს შეესაბამება, უნდა გამოაკლდეს მისი ელექტროენერჯის ნაზავში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის რაოდენობას.

მუხლი 5. რეესტრში რეგისტრაცია, რეესტრით სარგებლობა და რეესტრში რეგისტრაციის გაუქმება.

1. რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება რეესტრში ანგარიშის გახსნის შესახებ ელექტროენერჯის მწარმოებლის მიერ უფლებამოსილი ორგანოსთვის განცხადების წარდგენის საფუძველზე.
2. რეესტრში ანგარიშის გახსნის განცხადების ფორმას შეიმუშავებს გადამცემი სისტემის ოპერატორი და წარუდგენს კომისიას დასამტკიცებლად.
3. რეესტრში ანგარიშის გახსნის შესახებ განცხადება შეიძლება წარადგინოს ნებისმიერმა ელექტროენერჯის მწარმოებელმა, რომელიც ელექტროენერჯის აწარმოებს განახლებადი ენერჯის წყაროდან.
4. რეესტრში ანგარიშის გახსნის შესახებ განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უფლებამოსილი ორგანო აფასებს წარდგენილი განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადების ფორმასთან და ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან.
5. რეესტრში ანგარიშის გახსნის შესახებ განცხადების ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადების ფორმასთან და ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან შესაბამისობის შემთხვევაში განმცხადებლის სახელზე უფლებამოსილი ორგანო ხსნის ანგარიშს და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს განმცხადებელს.
6. თუ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნას, მაშინ უფლებამოსილი ორგანო განმცხადებელს უგზავნის შეტყობინებას რეესტრში რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისი ხარვეზის მითითებითა და დასაბუთებით. უარი არ ართმევს განმცხადებელს უფლებას ხელახლა მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს რეგისტრაციის მოთხოვნით.
7. რეესტრში რეგისტრაციისა და შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უფლებამოსილი ორგანოსა და განმცხადებელს შორის უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, რომლის სტანდარტულ ფორმასაც შეიმუშავებს უფლებამოსილი ორგანო და დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიას.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე განმცხადებელი ხდება რეესტრით მოსარგებლე და მას გაუაქტიურდება ანგარიშზე წვდომა.
9. ანგარიშის მეშვეობით ანგარიშის მფლობელს აქვს შესაძლებლობა, წარადგინოს ელექტრონული განაცხადი.
10. რეესტრით სარგებლობის შეჩერება ან/და ანგარიშის გაუქმება ხორციელდება რეესტრით სარგებლობის თაობაზე უფლებამოსილი ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.
11. განახლებადი წყაროდან ელექტროენერჯის მწარმოებელი უფლებამოსილია რეესტრში საკუთარ ანგარიშზე დაარეგისტრიროს ერთი ან რამდენიმე წარმოების საშუალება.

მუხლი 6. წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა

1. ელექტროენერჯის შესაბამის მწარმოებელზე წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ რეესტრში ამ მწარმოებლის ანგარიშის გააქტიურების შემდგომ.
2. გადამცემი სისტემის ოპერატორმა უნდა დააკმაყოფილოს წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის განაცხადი დასრულებულ კალინდარულ თვეში ქსილში მიწოდებულ ელექტროენერჯის



მოცულობაზე, აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე.

3. დაუშვებელია წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა კონკრეტულ პერიოდში წარმოებულ ელექტროენერგიაზე, რომელზეც უკვე გაცემულია წარმოშობის სერტიფიკატი.

4. ჰიდრომააკუმულირებელი სადგურის მიერ წარმოების შემთხვევაში, წარმოშობის სერტიფიკატი არ გაიცემა იმ ელექტროენერგიაზე, რომელიც ეხება ჰიდროელექტროსადგურის მაკუმულირებელ ოპერაციას.

5. უფლებამოსილმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ წარმოშობის სერტიფიკატი, რომელიც მიეკუთვნება წარმოების საშუალებას, არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, არის ზუსტი, საიმედო და მანიპულაციისგან დაცული, შესაბამისი დაცვის ნიშნების გამოყენებით.

6. წარმოებული ელექტროენერგიის თითოეული ერთეულისთვის (მგვტ.სთ) მხოლოდ ერთი წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა.

მუხლი 7. წარმოშობის სერტიფიკატის აღიარება

1. ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაცემული წარმოშობის სერტიფიკატის აღიარებას ახორციელებს კომისია, „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე განახლებადი წყაროდან ელექტროენერჯის მწარმოებელი არ შეიძლება იყოს რეგისტრირებული საქართველოს ფარგლებს მიღმა არსებულ ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატის სხვა რეესტრში.

მუხლი 8. რეესტრით სარგებლობის საფასური

1. რეესტრით სარგებლობის საფასური განისაზღვრება კომისიის მიერ უფლებამოსილი ორგანოს წარდგინებით, რეესტრის წარმოებასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით.

2. ანგარიშის მფლობელი გადაამცემი სისტემის ოპერატორს უხდის:

ა) ყოველწლიურ საფასურს რეესტრში ანგარიშის მართვისათვის;

ბ) ინდივიდუალურ საფასურს წარმოშობის სერტიფიკატის გაცემისა და წარმოშობის სერტიფიკატის გადაცემისთვის.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საფასურები განისაზღვრება, არანაკლებ ერთი წლის ვადით, კომისიის შესაბამისი სატარიფო მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მუხლი 9. წარმოშობის სერტიფიკატის შინაარსი

1. წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა უნდა განხორციელდეს ელექტრონულად, უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მხოლოდ აქტიური ანგარიშის მფლობელის მოთხოვნის საფუძველზე.

2. წარმოშობის სერტიფიკატი უნდა მოიცავდეს „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მონაცემებს.

3. წარმოშობის სერტიფიკატი უნდა იყოს სტანდარტული და იგი გაიცემა 1 მგვტ.სთ ელექტროენერჯის წარმოებისათვის.

მუხლი 10. წარმოშობის სერტიფიკატების მოქმედების ვადა

წარმოშობის სერტიფიკატი გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისი ენერჯის წარმოებიდან 12 თვის განმავლობაში.

მუხლი 11. წარმოშობის სერტიფიკატის გაუქმება

1. ელექტროენერჯის წარმოშობის შესახებ საბოლოო მომხმარებლისათვის მონაცემების გამჟღავნების



მიზნით გამოყენებული აგრეთვე ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში, ელექტროენერჯის წარმოშობის სერტიფიკატი უქმდება, რის შედეგადაც მისი მესამე პირისთვის გადაცემა აღარ არის შესაძლებელი.

2. წარმოშობის სერტიფიკატის გაუქმების საფუძვლებია:

ა) წარმოშობის სერტიფიკატის ვადის გასვლა;

ბ) ელექტროენერჯის მწარმოებლის მიერ ამ წესის ან/და უფლებამოსილ ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების დარღვევა;

გ) ელექტროენერჯის მწარმოებლის მოთხოვნა ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

3. წარმოშობის სერტიფიკატის გაუქმების შემდგომ დაუშვებელია მისი გადაცემა.

4. წარმოშობის სერტიფიკატს აუქმებს მხოლოდ უფლებამოსილი ორგანო. წარმოშობილი სერტიფიკატის გაუქმების შემდეგ იმავე ელექტროენერჯიაზე წარმოშობის სერტიფიკატის ხელახლა გაცემა დაუშვებელია.

მუხლი 12. აღრიცხვის მონაცემები

1. წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა ოპერატორის მიერ ზედა დონის ესკაა სისტემის აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აღრიცხვის მონაცემების შეტანა რეესტრში უნდა განახორციელოს უფლებამოსილმა ორგანომ, რომელიც პასუხისმგებელია მათ სიზუსტეზე.

3 ელექტროენერჯის აღრიცხვის მონაცემების კორექტირების შემთხვევაში, შესაბამისად უნდა დაკორექტირდეს წარმოშობის სერტიფიკატიც ელექტროენერჯის შესაბამისი მწარმოებლისთვის.

4. თითოეული წარმოების საშუალების მიერ წარმოებული ელექტროენერჯია ცალკე უნდა აღრიცხებოდეს „ქსელის წესების“ მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 13. წლიური ანგარიში

1. უფლებამოსილი ორგანო ამზადებს წლიურ ანგარიშს წინა წლის განმავლობაში რეესტრით სარგებლობის შესახებ და წარუდგენს მას კომისიას არაუგვიანეს მიმდინარე წლის 30 აპრილისა.

2. წლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს:

ა) რეესტრში ანგარიშის გახსნის შესახებ განცხადებების სრულ რაოდენობას, მათ შორის, დაკმაყოფილებულ და დაუკმაყოფილებელ რაოდენობებს, შესაბამისი ელექტროენერჯის მწარმოებლების მითითებით.

ბ) განაცხადების რაოდენობას;

გ) დაკმაყოფილებული განაცხადებისა და გაცემული წარმოშობის სერტიფიკატების რაოდენობას, აგრეთვე შესაბამისი ელექტროენერჯის მოცულობას;

დ) წარმოშობის სერტიფიკატის გაცემაზე უარის რაოდენობას, აგრეთვე შესაბამისი ელექტროენერჯის მოცულობას;

ე) გადაცემული წარმოშობის სერტიფიკატების რაოდენობას, აგრეთვე შესაბამისი ელექტროენერჯის მოცულობას;

ვ) გაუქმებული წარმოშობის სერტიფიკატების რაოდენობას, აგრეთვე შესაბამისი ელექტროენერჯის მოცულობას;



ზ) სხვა ინფორმაციას, რომელსაც უფლებამოსილი ორგანო საჭიროდ ჩათვლის ანგარიშგებისათვის.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

1. უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, რეესტრით სარგებლობის წესი და რეესტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ კომისიის სამართლებრივი აქტის პროექტი წარადგინოს კომისიაში დასამტკიცებლად არაუგვიანეს 2022 წლის 31 აგვისტოსი.
2. უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, მასსა და ანგარიშის მფლობელს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და რეესტრში ანგარიშის გახსნის განცხადების ფორმა კომისიაში დასამტკიცებლად წარადგინოს არაუგვიანეს 2022 წლის 30 სექტემბრისა.
3. უფლებამოსილმა ორგანომ რეესტრი უნდა შეიმუშაოს არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა, რომლის წარმოება და ადმინისტრირება უნდა დაიწყოს 2023 წლის 1 იანვრიდან.
4. უფლებამოსილმა ორგანომ ამ წესის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული პირველი წლიური ანგარიში კომისიას უნდა წარუდგინოს არაუგვიანეს 2024 წლის 30 მარტისა.

